# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

**რედაქცია**

გალავნის პროსპექტზედ, თ. მუხრანსკის სახლებში კლუბის ქვემოთ.

**ხელის-მოწერა**

მიიღება თფილისში „დროება“-„ივერიის“ რედაქციაში, ქუთაისში „დროება-ივერიის“ აგენტთან ი. ჭყონიასთან ხიდაზე. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“-„Иверіи“.

**„დროება“-„ივერიის“ ფასი**

| | წელიწადში. | 6 თვეს | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროება“ და „ივერია“ ერთად | 14 მან. | 8 მ. | 5 მ. |
| ცალკე „დროება“ | 9 მან. | 5 მ. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია“ | 7 მან. | 4 მ. | 2 მ. |

**ფასი განცხადებისა**

დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., წვრილებით [illegible] მთავრულით ასოზე ნახევარი კაპ., წვრილებით [illegible] ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ ხანჭირობა მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია ფოსტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვ. ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება „დროება“-„ივერიის“ აგენტთან.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ.



პედაგოგიური რჩევა ქალაქის სახელოსნო სასწავლებლისა სთხოვს ამ სასწავლებელში მყოფ მასწავლებლის მიცვალებულის **კოსტანტინე დავითისძე ნაცვლიშვილის** ნათესავებთა და ნაცნობებთ მობრძანდნენ მის პანაშვიდზე, რომელიც დანიშნულია კვირას 6 ქრისტეშობისთვეს, დილის 11½ საათზე ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში.

სათავადაზნაურო თეატრში

ოთხშაბათს, 9 დეკემბერს

ბ ე ნ ე ფ ი ს ი

**კ. დ. ყიფიანისა**

ქართული დრამატიული დასის არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება:

**შეილოხა**

შექსპირის დრამა 5 მოქმედებად, ნათარგმნი დ. ი. ყიფიანისა.

ადგილების ფასები ბენეფისისა.

დასაწყისი 7½ საათზე.

არწრუნის თეატრში

კვირას, 6 დეკემბერს

ქართული დრამატიული დასის არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება:

**მზის დაბნელება**

ორიგინალური კომედია 3 მოქმედებად, ზ. ანტონოვისა.

ფასები დაკლებულია.

ბილეთები იყიდება თეატრის კასსაში.


## ტელეგრამმა

(„ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის ტელეგრაფის სააგენტოსი“)

**პეტერბურღი, 3 დეკემბ.** „მმართებლობის მოამბეში“ გამოცხადებულია: რადგან ღენ. ჩერევინის მოკვლის განზრახვას პოლიტიკური ხასიათი აქვს, ამის გამო ბრესტ-ლიტოვსკის მესხანინის სანკოვსკისა და პეტერბურღის მესხანინის მელნიკოვის საქმე სამხედრო სასამართლოს აქვს გარდაცემული განსახილველად.

ვექსილის ქაღალდს ფასი მოემატება. მთავრობას სჯა აქვს მემკვიდრეობაზე ცალკე გადასახადი დანიშნოს.

## თ. დონდუკოვ-კორსაკოვის დანიშვნაზე.

თფილისი, 4 დეკემბერს.

ამ უკანასკნელ დროში ძლიერ გავრცელდა ხმა შესახებ თ. დონდუკოვ-კორსაკოვის დანიშვნისა კავკასიის მთავარ-მართებლად.

რუსულ გაზეთებმა ეს ხმები თითქმის დაბეჭდითეს. ჩვენ, რასაკვირველია, ნამდვილად არ ვიცით—გადაწყვიტეს თუ არა უმაღლეს მმართველობამ ეს საქმე; მხოლოდ ყველა კანდიდატებზე უფრო ხშირად თ. დონდუკოვზე ლაპარაკობენ, და თუ ეს ამბავი გამართლდა ჩვენი საზოგადოებისათვის, უეჭველია, სასიხარულო იქნება.

თ. დონდუკოვისთვის უცხო არ არის ჩვენი ქვეყანა; ამ ოც-და-ათის წლის წინედ ის ყოფილა კავკასიაში, უმსახურნია თ. ვორონცოვის ხელქვეეთ—ასე, რომ ის ჩაითვლება ვორონცოვის შეგირდად.

ვორონცოვის დრო ტკბილად მოსაგონია ქართველებისათვის. ვორონცოვის მოსვლამ გაალვიძა ჩვენი ცხოვრება; იმას უყვარდა საქართველო და ყოველ ღონის-ძიებას ხმარობდა, როგორც გონიერად, აგრეთვე ნივთიერად გაეღვიძებინა და გაემაგრებინა მისი ცხოვრება.

ყველამ იცის, თუ რა შემწეობა აღმოუჩინა თ. ვორონცოვმა ჩვენს მწერლობას. პრიკაზის დაარსებით სურდა მას მოესპო ის მოვლენა, რომლის გამო ქართველ თავად-აზნაურობის მიწა-წყალი გადადიოდა ფულიან ხალხის ხელში.

არა-ნაკლები სარგებლობა მოუტანა ვორონცოვმა ჩვენს სწავლა-განათლებასაც. მან დააარსა სწავლა-განათლების სამზრუნველო კავკასიაში და განამრავლა საშუალება სამოსწავლო წოდებისა: მისვე დროში გაიხსნა ქუთაისის გიმნაზია; რომელმანც არა-ერთი განათლებული მამულის-შვილი გამოუზარდა საქართველოს. ჩვენ არ ძალგვიძს გადავთვალოთ ყოველი ის კეთილი და ქვეყნის სასარგებლო საქმე, რომელიც ვორონცოვმა შემოიღო ჩვენში.

კარგ მასწავლებელს შაგირდი ყოველთვის წაბაძავს და ჰგვრწამს, რომ თ. დონდუკოვი, როგორც ვორონცოვის შეგირდი, თავის მოქმედებით მოგვაგონებს, თუ კავკასიის მთავარ-მართებლად იქმნა დანიშნული, თავის ოსტატის დროს, განგვიახლებს იმ ტრადიციებს, რომელთათვის თ. ვორონცოვმა საუკუნო მადლობა დაიმსახურა ჩვენგან.

უკანასკნელ ომის შემდეგ თავადი დონდუკოვი განთავისუფლებულ

«დროების» ფელეტონი, 5 დეკემბ.

### თელაური ფელეტონი.

თელავი. — სამოქალაქო სასწავლებლის სალიტერატურო და სამუსიკო საღამო. — ბალდოევის ბანკი. — თელავის კლუბი. — ცხენების ბადლად ქალების ქურდობა.

რამდენადაც თელავი თავისის ბუნებითის სილამაზით წარმოადგენს საუკეთესო საცხოვრებელს ადგილს ზაფხულში, იმოდენად შემაწუხებელს და სულის შემხუთველს ზამთარში. ზამთრობით აქ ყველანი კარ-ჩაკეტილნი და ხმა-გაკმენდილნი არიან.

აი ამისთანა დროს, როგორც უდაბურს ტყეში ღამით გზა-დაკარგულმა უცბად დაინახოს გამომნათი მთვარე და გაიხაროს, ისე მივიღეთ თელავის სამოქალაქო სასწავლებლის მხრით სალიტერატურო და სამუსიკო საღამოს გამართვა.

შესაწუხია, როდესაც დღეები, კვირეები, თვეები და წლები გადიან, კითხულობ, ჰფიქრობ, მუშაობ, იქნება სწერ და იტანჯები კიდეც,—მაგრამ რად გინდა ყველა ეს, როდესაც ვერ ხედავ კაცს, —ვისაც ან ფიქრი და ან ტანჯვა შენი გაუზიარო! სწორედ ამ გრძნობის დასაკმაყოფილებლად უნდა ყოფილიყო გამართული ეს საღამო და მეც ამ იმედით წაველ. და ვის რა ნება აქვს გაკიცხვისა, თუ ვერ აასრულა ეს მოთხოვნილება, განა ის კი საკმაო არ არის ჯერ-ჯერობით, რომ შეეცადა ამ საქმეს და საფუძველი დასდო თელავის სასწავლებელმა? მე მგონია მარტო ამისთვისაც მადლობა უნდა უძღვნათ ამ სასწავლებელს.

და თუ ეხლა ვწერ ამ შენიშვნას და სუყველას ვერ ვაქებ, ეგ იმიტომ, რომ მოყვარეს მე მინდა პირ-და-პირ ვუჩვენო თავისი შეცდომანი და მეორედ და მესამედ ამ გვარი საქმე უფრო კარგად და ჩვენს გემოზე მორთული ვნახო.

სალიტერატურო და სამუსიკო საღამო იყო გამართული 2 ნოემ. თელავის სამოქალაქო სასწავლებლის ზალაში. მონაწილეობას იღებდნენ ყველანი ამ სასწავლებლის მასწავლებელნი და ზოგიერთნი III კლასის მოწაფენი. საზოგადოება არ იყო პატარა, თუმცა კი უფრო დიდი იმედი იყო, რომ ცუდი ტაროსი არ ყოფილიყო, საღამოს რვის ნახევარზე საზოგადოება შეიკრიბა და მომქმედთ პირთ კიდეც დაიწყეს მოქმედება.

პირველად შეგირდებმა იგალობეს „ბოჟე ცარია ხრანი“ და შემდეგ ბ-ნმა პიკნაძემ სთქვა სიტყვა (ანუ წაიკითხა) ამ საღამოს მნიშვნელობაზედ და მიზანზედ. დედა-აზრი ამ სიტყვისა იყო, რომ მისს სასწავლებელში იმყოფებიან მრავალნი ღარიბ მოსწავლენი და აი ამ საშუალებით მას სურს მისცეს მათ რამე შემწეობა; ამასთანავე საზოგადოება გაიცნოს თავის სასწავლებელთან და თუ შეიძლება, სასარგებლო და სიამოვნებით დროებაც გაატარებინოს. მიზანი როგორც ჰხედავთ, ძალიან კარგია და ჩვენც წინააღმდეგი არა გვაქვს-რა.

შემდეგ ამ წინასიტყვაობისა ამ ყმაწვილებმა თუ მასწავლებელთ წაიკითხეს რამდენიმე ლექსი, სცენები და შემდეგ იგალობეს. ამათში მხოლოდ ნამდვილად საზოგადოების ქება მიიღო ერთმა ლექსის წამკითხველმა „მახსოვს სკოლაში რომ გამამგზავრეს“ უთურგაულმა, რომელსაც მეორედ გაამეორებინეს; მეორემ—ტერ-აბელამ—სიმღერისთვის. სხვებმა კი ვერ დაატყვეს საზოგადოების გულს ვერაფერი კვალი, თუმცა კი ტაში და „ვაშა“ ყველას შეაწიეს. ამით გათავდა პირველი ნაწილი საღამოსი და საზოგადოება ტერ-აბელამ მიიწვია ბუფეტში.

ნახევარ საათის შემდეგ ისევ დავმწკრივდით ჩვენ-ჩვენ სკამებზედ. მოქმედება დაიწყო ბ. ჯ. სიმღერით ფისგარმონიაზედ **„коль славенъ“** და გათავდა მოსწავლეთ სიმღერით **„какъ подъ яблоной подъ той“**... ამ განყოფილებაში პირველი ჯილდო ქებისა საზოგადოებისაგან მიიღო ბ-ნმა პუპჩენკომ გოგოლის **„какъ посорились Иванъ Иванычъ съ Иваномъ Никифоровичемъ“** წაკითხვისთვის. მეორე ტერ-აბელამ „ორი გრენადერის“ სიმღერისთვის და მესამე—შაგ. მ ტიკოვმა „ქართლის დედას“ წაკითხვით. სხვების კითხვამ თითქმის ფუჭად ჩაიარა.

მესამე განყოფილებაში უფრო ბევრმა გაიმარჯვა. ვ. როსტომაშვილმა წაიკითხა მოკლე ბიოგრაფია ვახტანგ გორგასლანისა ქართულად და წაიკითხა ნამდვილის გრძნობით და ალტაცებით. ამისთვისაც საზოგადოებამ გულითადი მადლობა გამოუცხადა. შაგირდმა ლოლიძემ წაიკითხა დ.

ბოლგარიის მმართველად იყო დანიშნული. მისს განკარგულებას ბოლგარიაში დიდის ქებით მიეგება მთელი განათლებული ქვეყანა. ვისაც ამ გვარი წასრული აქვს, იმის მომავალიც ჩვენს ქვეყანაში უნდა გვაიმედებდეს.

## ახალი ამბები.

მმართებლობას, კავკასიის მთავრობის წინადადებით, გარდაუწყვეტია, რომ სოხუმის მცხოვრებლებს, რომელთაც ამდენი ზარალი მოუვიდათ გავლილ ომიანობისაგან, დაურიგონ 275,000 მან.

რუს-ოსმალოს ომის გათავების შემდეგ კამისია იყო გამოსაძიებლად და შესატყობად—თუ ოსმალოს ჯარის აკლებით—ვის და რამდენი ზარალი მიეცა სოხუმში. როგორც მაშინ ამბობდნენ, ზარალის რაოდენობა ორ-მილიონ მანეთამდინ არისო და ფულში მთავრობა ახლა ზემოხსენებულ ჯამს აძლევს სოხუმელებსა

***

გავლილ ნოემბრის 5-ს ორი ათასი სული ანატოლიის ბერძნები მოსულან გემით. ყველა ეს ბერძნები, როგორც გაზ. „ნოვოროსიის ტელეგრაფში“ იწერებიან, ოსმალოს ქალაქიდამ ორტუდამ აიყარნენ და ყარსის მაზრაში მიდიან დასასახლებლადაო.

***

ქუთაისიდამ გვატყობინებენ, რომ გავლილ 23 ნოემბერს იქაურს ბ-ნი ხარაზოვის თეატრში ყოფილა რუსული წარმოდგენა და კონცერტი, რომელშიაც თფილისიდამ ჩასულს რუსის დასის მოთამაშეებსაც მიუღიათ მონაწილეობა. თეატრის ზალა თითქმის სავსე ყოფილა ხალხით, ასე რომ „ქუთაისის ღარიბ მოსწავლეთა შემწე საზოგადოებას“, რომლის სასარგებლოდაც ეს წარმოდგენა იყო დანიშნული, ხარჯს გარდა ორასი მანეთი მაინც დარჩებოდაო.

***

გორის ქალაქის გამგეობას შემდეგი ტაქსია გამოუცხადებია ხორაგეულისა ამ ქრისტეშობისთვის 1-დამ მომავალ თებერვლის 7-მდინ.

პირველი ხარისხის ფურნის პური, გირვანქა—6 კაპ., მეორისა—2 კაპ. ნახევარი, თონის პური პირვ. ხარისხისა—6, მეორისა—3. ძროხის ხორცი—10 კაპ., ცხვრისა—10, თხისა—8, სუკი—12, ღორის ხორცი—10, ფურ-კამბეჩისა—6 კაპ.

***

სოლოლაკელები სჩივიან, რომ მეფურნეები ტაქსიას არ ექვემდებარებიანო: მეორე ხარისხის პური ტაქსიით სამ კაპეიკ-ნახევრად უნდა იყიდებოდესო, ესენი კი ოთხ კაპეიკათ ჰყიდიანო.

—

შეცდომა. გუშინ-წინდელ „დროების“ ნომერში პატივცემულ ქ. ქ. მამაცაშვილის ფელტონში, მესამე გვერდის მესამე სვეტზე შეცდომით დაბეჭდილია, რომ „1720 წელს შახ-აბაზი აიკლებს კახეთსო“. უნდა იყოს 1620 წელსა და არა 1720 წ.

ამას გარდა გუშინდელს ნომერში, ამავე სტატიაში მწერალი პეტრიკი ანუ პატრიკი აგრეთვე შეცდომით პეტრიაშვილად არის მოხსენებული.

## „დროების“ კორრესპონდენცია

—

სამეგრელოდამ, 28 ნოემბერს. შემდეგ ხელმეორედ გადაწვისა სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის სადგომისა, დიდი რჩევა ატყდა ჩვენი სამეგრელოის სამღვდელოებაში, ასე რომ ძვირად დაინახავდა კაცი ერთად ორ სულიერ მამას, რომ ამ სასწავლებელის შესახებ არ ჰქონოდათ სჯა. სჯიდნენ სად და რომელი ადგილი ამოირჩიონ და სთხოვონ ყოვლად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოზს, რომ დროებით სადმე მალე გადიტანოს სასწავლებელი და ბევრმა დრომ არ ჩაუაროს ფუჭად მათ შვილებს. ამ გვარები ბევრი დაიხარჯა, მაგრამ, ცალიერი ყაყანის მეტი ვერა გაარიგეს-რა.

„დროებაში“ არა ერთხელ იყო გამოცხადებული, რომ სამეგრელოს სამღვდელოება, სხვა-და-სხვა კერძო ინტერესის მექონნი პირების წყალობით, რამოდენიმე დასად არის დაყოფილი: ერთს სურს სასწავლებელი ზუგდიდში, მეორეს—ახალ-სენაკში, მესამეს—ძველ-სენაკში, მეოთხეს იქვე მარტვილში, მეხუთეს—ქუთაისში და სხვ. და სხვ.

სწორედ ამათი მოქმედება კრილოვის ზღაპარს მოაგონებს მკითხველს; როგორც ზღაპარში მოყვანილ გმირებს დარჩათ თავის ადგილზე დაუნძრევლად ურემი, აგრეთვე, როგორც ვხედავ, ამ ჩვენს მამებს თავიანთი უთანხმოების გამო, საქმე უკან რჩებათ და ამ გვარის საქციელის მსხვერპლად არის ჩვენი სორჩი ახალ-გაზდობა.

დღეს, როგორც გავიგეთ, ყოვლად სამღვდელოს მოულაპარაკნია ხსენებულ სასწავლებლის ზედამხედველთან და ამავე სასწავლებლის გამგე წევრებთან, რომ სასწავლებელი გადაიტანონ დროებით ქუთაისში ანუ დ. ახალ-სენაკში; ამ ორ ადგილში, რომელიც სურთ, ამოირჩიოს სამეგრელოს სამღვდელოებამ და დაამტკიცებო. შემდეგ ეს მოსაზრება ოფიციალური ქაღალდით გაგზავნილ იქმნა ყოვლად სამღვდელოსაგან ყველა სამეგრელოს საბლაღოჩინოში, რომ თითოეულმა მათგანმა ერთი კვირის განმავალობაში წარუდგინონ მას თავიანთი ამორჩეული ადგილი ხსენებულ ორ ადგილში, და ყოვლად სამღვდელო უმრავლესობის სურვილს აასრულებს და კიდეც დაამტკიცებს.

სულით და გულით ვინატრით, რომ არც ერთს მამა ბლაღოჩინებს არ მიექციოთ ყურადღება არავითარი პიროვნული ინტერესისათვის და თავისის სამწყსოის ნამდვილი სურვილი ძალა დაუტანებლად წარედგინოს ყოვლად სამღვდელოსათვის. ჩვენ ვურჩევთ სამღვდელოებას, მაგრამ იმედია, ყველას ახსოვს და კიდეც მოიგონებენ იმ გაჭირვებულ დროს, როდისაც ეს სასწავლებელი, ამ გვარისვე მიზეზისა გამო, გადიტანეს ქუთაისში, რამდენად შემცირდა მაშინ სასწავლებელში შაგირდების რიცხვი, მაგრამ იმ მიზეზით, რომ მამებმა ვერ შესძლეს თავიანთი შვილების წაყვანა ქუთაისში. და როდესაც სამეგრელოში გადმოიტანეს სასწავლებელი, როგორ მალე შეივსო დაკლებული ვაკანსიები შაგირდებით.

კოჩი.

---

ზურამიშვილის ქართლის და კახეთის დაცემის ლექსი, რომელიც გაამეორებინეს. კუპჩემკომ რუსული—ხალხური სცენები წაიკითხა და შემდეგ ტერ-აბელამ ისევ იმღერა. შემდეგ მოსწავლეთ იმღერეს რუსული „მრავალ ჟამიერ“ და კიდეც დაიშალენით; დარჩნენ მხოლოდ ცოტაოდენილა სატანციოდ და ისინიც ერთის საათის შემდეგ დაიშალნენ.

თუმცა, ვიმეორებ, ამისთვისაც მადლობელნი უნდა ვიყვნეთ ამ სასწავლებლისა, მაგრამ მაინც უნდა ვუძღვნათ ორიოდე შენიშვნა: სულ წაკითხული თუ ნამღერი, ლექსი თუ პროზა 27 იყო; ამათ შორის ქართულად წაიკითხეს 6 და დანაშთენი 21 რუსულად, როდესაც სამართლის და საზოგადოების მიხედვის-და-გვარად უნდა ყოფილიყო 21 ქართულად და 6 რუსულად. ამისთვის ურიგო არ იქნება, თუ რომ მეორეჯერ უფრო ფართო ალაგს მისცემენ ქართულს ელემენტს. საზოგადოება სულ ქართველია, მკითხველნიც ქართველნი არიან და დამახინჯებულის და დამტვრეულის რუსულის ენით კითხვა და ლაპარაკი,—თქვენგნით არ მიკვირს—რა დროს გატარება იქნება!

ბევრი ლექსი და პროზაც უადგილოდ და უმიზნოდ იყო წაკითხული: მაგ. „Клермонтскій соборъ“, „Я васъ люблю“, „Какъ еврей учится стрѣлять“, „ორი წყვილი ჩუსტი“ და სხ. და სხვ. ამ მხრითაც ვურჩევთ, მეორისთვის უფრო შინაარსიანი და გამამხიარულებელი თხზულებანი ამოირჩიონ.

დასასრულ თითქმის ყოველი სიმღერა მოსწავლეებისა სიმღერა არ იყო; თუ ბალღებს არ იბრალებთ, მსმენელთ ყურები მაინც შეიბრალეთ. თუ ნამდვილია ის აზრი, რომ უგარმონიოთ შეჩვეულს მომღერალს, თუნდ ნიჭიც ჰქონდეს სიმღერისა, ეკარგება მუზიკალური ყურთა-სმენა,—უნდა მოველოდეთ, რომ ბ. კუპჩენკოს რეგენტობასაც ეს შედეგი მოელის. საკვირველია, მასწავლებელია, ფულს იღებს, ორი წელიწადია რაც ასწავლის და ერთი სიმღერა არ უსწავლებია რიგიანად და ყურს არავინ აქცევს. იქნება კომიკური სცენებისა და ლექსების კითხვა რომ კარგად იცის, იმას ჰფიქრობს, რომ ბეტხოვენიც ვარო!

—

მეორე საყურადღებო საგანი თელავში არის ახლად-გახსნილი ბანკი ბაღდოევისა.

ორი წელიწადია მას აქეთ, რაც თელავში ლაპარაკობენ ბანკის დაარსებაზე და რამდენიც თავი იყო, იმდენნაირს ბანკის და ამხანაგობის გამართვას ჰფიქრობდნენ! ზოგს უნდოდა შეედგინა შემნახველი და დამზოგველი საზოგადოება გეემართა ანუ დეპო და ამითი ხალხი დაეხსნა გაჭირვებიდგან; ამათ კიდეც დაამტკიცებინეს წესდება, ამოირჩიეს სამართველოც, შეკრიბეს სამ-სამი მანეთი თავნ ფულად და მიეცნენ საუკუნოდ ძილსა.

ზოგს უნდოდა სამოქალაქო ბანკი;—ამათაც პირველებსავით ყველაფერი, რაც კი შესაძლო იყო, მოიპოვეს და რო გაიგეს არხეოლოგოსები მოდიანო, მაშინვე არხივში ჩასხდნენ—უთუოდ გამოგვძებნიან და დიდს ფასს მოგვცემენო; მაგრამ, როგორც მოგეხსენებათ, ვირხოვი, ავდრების გამო, აქეთ ველარ წამოვიდა და ესენი კიდევ თავის ნებით აღარ გამოდიან.

მესამედ, გამოვიდა აქციონურული ბანკი; ამანაც იშოვა სიტყვით ასობით და ათასობით წევრი თუ ფული და სინათლითვე გამოუდგა თავის უფროს ძმებს.

ბოლოს უეცრად ამოჰყო თავი ბ. ბაღდოევის საამხანაგო ბანკმა. ბ. ბაღდოევმა პირველს ამ თვის რიცხვებში მოიწვია თელავის ყოველწოდების წარმომადგენელნი, გაუმართა სადილი და განუმარტა, რომ დღეს თელავს ეღირსა ის წყალობა, რომელსაც სხვა მაზრის ქალაქები მოკლებულნი არიანო. ყველამ ალტაცებით მიიღო ეს და ზოგთ კიდეც შეასხეს ქება.

„ასეა თუ ისეაო, ქალო, შენი ქმარიაო“. ესეც აგეთია, თუ იგეთი, მაინც ჩვენი ბანკია და ჩვენში უნდა იმოქმედოს; ამისთვის ურიგო არ იქნება ორიოდე სიტყვით გავაცნოთ მკითხველს: ბანკი დაფუძნებულია მუხრანსკის ბანკის წესზედ მცირედის შეცვლით. წევრად შეეძლო შესულიყო ყველას ამ თვის გასვლამდის, თუ შეიტანდა 10—100 თუმნამდის საწევროს. ხმა და სარგებლობა არის დაფუძნებული ფულის რაოდენობაზედ. აგრეთვე გამოტანა სესხისა შეუძლიან ყველას, ვინც-კი რიგიანს თავდებს ან გირაოს წარუდგენს. ფული მიეცემა სამის და ექვსის თვის ვადით, სარგებელი წინეთვე ერიცხება 9—10 პროცენტამდის.

ამ მუხლებიდგან ცხადად სჩანს, რომ ბანკის პირ-და-პირ თავის მიზნად აქვს თავის წევრთა ჯიბეების გაგანიერება, თუმცა კი ზოგიერთების აზრით, გამტანთ მცირედ შემწეობასაც არ ივიწყებს, რადგან ის ფულს

## წერილები რედაქტორთან

—

„დროების" 247 №-ში იყო დაბეჭდილი თიანეთის მაზრის უფროსის თ. ა. აფხაზის წერილი, რომლითაც გვთხოვს უჩვენოთ, რომლის მაზრის ხალხში მოხდა ის დაუდევნელობა, გულ-გრილობა და უწესობა თიანეთის გზის გაკეთებაში, რომელნიც აღწერილნი არიან „დროების" 120 და 239 № №-შიაო.

იმ წერილიდამ ჰსჩანს პატიოსანი სურვილი, რომ მკითხველმა არ იფიქროს, ეჭვი არ შეიტანოს, რომ აღწერილი ამბები მომხდარა თიანეთის მაზრაშიაო და ეს სურვილი ცხადად გვიმტკიცებს, ჩვენის ჰფიქრით, რომ აფხაზსა სძაგს, მორიდებულია და მზად მღვიძარედ ჰსდევნის თავის მაზრაში იმ გვარ საქმეებს, რომელნიც აღწერილნი არიან ზემოხსენებულ „დროების" № №-ში.

ამისათვის დიდის სიამოვნებით ვასრულებთ თ. აფხაზის თხოვნას და მოვახსენებთ, იმ სტატიებში აღწერილი ამბები შეეხება იმ მაზრას, რომელიც ნაჩვენებია თვით რედაქციის სხოლიოში (ე. ი. დუშეთისას) და არა თიანეთის მაზრასა და მისს ადმინისტრაციას.

დომ. სუმ.

---

მეორედ-მოსვლის ჭორების შესახებ ლაპარაკის მიზეზი მე მომცეს სოფ. ნასპერის ეკკლესიაზედ: ერთმა პატივცემულმა პირმა სთქვა, გუშინ მიწა იძვრაო. ხალხიც დაემოწმა. ერთმაც წამოიძახა: „ვაი თუ მეორედ-მოსვლის ნიშანი იყოსო"! ამას აჰყვენ სხვებიც და დაიწყეს ლაპარაკი. მაგრამ, რა კი მე ხმა ამოვიღე, ხალხში სიჩუმე ჩამოვარდა, დაუგდეს ლაპარაკს ყური. მე ვსთქვი: „მიწის-ძვრაზედ ბევრი წამიკითხავს: ამა-და-ამ ქალაქებში ამოდენი სახლები, შენობები დაინგრა და ზარალი ქნაო. მაგრამ მიტომ მეორედ-მოსვლა რად იქნებოდა? ეს არის, როგორც ამტკიცებენ სწავლულნი, ცეცხლის მოქმედება, რომელიც იმყოფება ჩვენი მიწის სფეროს შუა გულში; ბევრგან ცეცხლი ამოხეთქს კიდეცა მიწას და იქედამ სჩნდებიან ცეცხლ-მქშინავენი ადგილები-მეთქი და სხვ. (აქ აუხსენი რაც საჭირო იყო მათთვის). მეორედ-მოსვლაზედ ჭორები დასთესა ვიღაც უგუნურმა. თვით მაცხოვარმა სთქვა, რომ დრო და ჟამი მისი არავინ იცისო კაცთაგან არცა ანგელოსთა ცისათაო, და თქვენ ვინ გაგაგებინათ ისეთი საიდუმლო, რომლის ცოდნა მარტო მამა ხუცესს ეკუთვნის? ამ ჭორის დამთესი და დამჯერებელიც ორნივე უგნური და რეგვენია-მეთქი".

ამ საგანზედ ამის მეტად არსად გამხსენებია მელაპარაკნოს.

ხალხმა ბეჯითად დაიწყო ყოველს ეკკლესიაზედ სიარული წირვის მოსასმენლად, თან-და-თან უფრო გაუერთგულდა ხალხი ეკკლესიას, ბევრგან შეაკეთეს, დახურეს, გააკეთეს გალავნები, ალაყაფის კარები და სხვ. ერთის სიტყვით, ეკკლესიის საქმე მიდიოდა საუცხოვოდ. შემდეგ რამოდენიმე კვირისა, სამწუხაროდ, მოვიდა სეტყვა სასტიკი და რამოდენიმე სოფლის ჭირნახული იმსხვერპლა. ეს მდაბიო ხალხმა მიაწერა პარასკევის მუშაობას, რომელსაც ამ დრომდი უქმობდენ. ისარგებლეს ჩემი ქუთაისს ყოფნით ლაილაშის მცხოვრებლებმა, მღვდელიც დაითანხმეს და დაიფიცეს ეკკლესიაში, რომ პარასკევი ისევ უქმად შაეინახოთო, და აგრეთვე სხვა უქმიც ბეჯითად დავიცვათო; მეუქმარებსაც დაუდვეს მოვალეობად ჯარიმა გადახდეს ყველას, ვინც ეს უქმი დღე გასტეხოსო. აქედამ გავრცელდა და ყოველგან ეგრე მაგრად მოჰკიდეს ხელი ამ საქმეს.

ეს გარემოება მიამბეს მე როცა მოვედი ლეჩხუმში; შევკრიბე ხალხი და მასთან ერთად მღვდელსაც გამოვუცხადე საყვედური, რომ მოუხდენიათ წინააღმდეგი საქმე; სხვა ეკკლესიებზედაც მივსწერე მღვდლებს ცირკულიარი, რომლის პირსაც ამასთანავე წარმოვადგენ:

„მოაწია ჩემს ცნობამდე, რომელ სოფლებში მცხოვრებლეთაგან აღრჩეულთა პირთა, დასაცველად ქრისტიანობრივის წესდებულებისა, ვითომც ბოროტად მოეხმარონსთ მათდამი მინდობილება და ნაცვლად წესიერებისა მოეხდინოსთ შემდეგის სახით უწესოება: შაბათს საღამოს მზის ჩასვლის დროს მუშაობისა და კვირა ნაშუადღევს ცოტა რამე საოჯახო საქმის გაკეთებისათვის წაერთმიოსთ ჯარიმა. ამისათვის განმეორებით მოგიწერ რა, თქვენო კურთხევავ, გაძლევ წინადადებას: იქონიოთ მკაცრი ყურადღება, რომ ის სოფლის აღრჩეულნი პირნი მოიქცენ ესრეთ, როგორც ჩემგან ჰქონდათ სიტყვიერი დარიგება; არა თუ ჯარიმით შეაწუხონ ხალხნი, არამედ რჩევით და შეგონებით მოახდენდენ ყოველს ამ გვარს კეთილს საქმეს; წინააღმდეგთა პირთა წარუდგენდენ ეკკლესიაზედ თავ-მოყრილთა ხალხთა და გამოითხოვდენ მათს გარდაწყვეტილებას. ხალხს შეუძლია დასაჯოს თვის შორის დამნაშავე პირი მძიმე საყვედურით, რომელიც უფრო შეაწუხებს მას, ვინემ ერთი აბაზის გადახდა. ხალხს აუქმებინებდეთ მხოლოდ კვირა და პირველ ხარისხოვან დღესასწაულებში (იხ. ჟამნი, ფურც. რჟთ. ნიშანთათვის საუფლოთა დღეთა), ხოლო სხვა უბრალო უქმთა დღეთა შინა ურჩევდეთ მათ მუშაობას".

ეს მიწერილობა ყოველს ეკკლესიაზე აქვს ხალხს გამოცხადებული.

ყოველი ჩემი მოქმედება სიტყვიერი და საქმითი იყო და არის ფარდაჩამოხდით, დღისით, სახალხოდ; რასაც მე ვამბობ, ამას თუნდ მთელი ლეჩხუმის საზოგადოებაც დაამტკიცებს.

და მაშ ახლა ერთი ვკითხოთ ამ კორრესპონდენციის ავტორს: რა დაინახა მან ამ ჩემს განკარგულებაში წინააღმდეგი ან ჩემი მოვალეობისა, ან საზოგადო კანონისა? საიდგან სჩანს, რომ მე მექადაგებინოს „მეორედ მოსვლა მოვა, თუ მსუქანი ცხვრები და ინდოურები არ დაჰკალით და მიცვალებულებს არ უკურთხეთო?! საიდამ დაინახა, რომ მე ხალხს ვაწუხებ, დარაჯებს ვაყენებ, ჯარიმებს ვახდევინებ და სხვ.?

ყოველი კეთილ-გონიერი მკითხველი ცხადად დაინახავს ამ გარემოე-

---

აძლევს 9-10 პრაცენტით, როდესაც ადგილობრივი ფულიანი ხალხი 20-30 პროცენტით ასესხებენ ფულს. ამაზე უნდა მოგახსენოთ, რომ, თუმცა თელავში ფული ყოველთვის ადვილი საშოვნელი არ იყო, მაგრამ, თუ იშოვიდი, უეჭველად ხანგრძლივის ვადით და არც ამაზე დიდის სარგებლით; ნამეტნავად, ამ უკანასკნელ ხანებში, ცოტა არ იყოს რომ ფულებიანთ შორის კონკურენცია გაიმართა და ამ ნაირად ცოტ-ცოტა ძირს იწევდა სარგებელი. ეხლა კი, როდესაც ფულიანი კაცი ხედავს, რომ, ამ ბანკის საშუალებით, მისს ფულს წელიწადში სამგზის და ოთხ გზის სარგებლის მოტანა შეუძლიან, რაღა გიჟი იქნება გაასესხოს კერძო პირზე და არ შეიდეს ბანკში ამხანაგად.

მართლაც, როგორც შევიტყე, ამ სამს კვირაში ოთხმოც თუმანზედ მეტი მოუგია ბანკს და ამხანაგებიც ბლომად უშოვნია. ვნახოთ, შემდეგში როგორ წავა ბანკის საქმე: გამართლდება იმ არატორების სიტყვება და დავრდომილი ჩვენი ქვეყანა აღგვიყვავდება, თუ, როგორც ერთმა პირმა შენიშნა, „თუ ვისმე ცოტა რამ დარჩომია, ისიც აქ დაგვირავდება."

მესამეც საუკეთესო და ყველას საყაყანო საგანი გახლავთ თელავის კლუბის ერთობ წინ წაწევა ამ უკანასკნელ ხანში, თუმცა კი, სიმართლე უნდა ვსთქვათ, წინეთაც არ მიდიოდა ნელის ნაბიჯით. საქმე იმაში გახლავთ, რომ თელავის კლუბში ნამდვილი ბუნებითი სპექტაკლები იმართება. თუ მართალია ის აზრი, რომ თეატრი გონების და ზნეობის ამმაღლებელიაო, მაშ ჩვენს კლუბს დიდი მადლობა უნდა ვუძღვნათ ამ ნაირის ბუნებითის სცენების გამართვისათვის. აი, ამ წასრულს კვირას ისეთ-ისეთი დრამა თუ კამედია დასდგა თელავის კლუბმა და ისეთის პირების დახმარებით, რომ, რომ გაიგოთ, ინატრებთ: ნეტა ამ ჩვენს დრამატიულ წრეს მისცა ის ნიჭი და ის წევრებიო! დიახ სანატრელია ყველასათვის ამ ნარი განვითარება ზოგიერთ პირთა და მეც მსურს, რომ საზოგადოებამ მათი ვინაობა არ იცოდეს. მომქმედნი პირნი გახლდნენ ორნი დიდ-გვაროვანი თავადნი: ი. ჭ. და დ. ჯ. შინაარსი ტრაგი-კომედიისა შემდეგი გახლდათ: ტანცების შემდეგ იმართება ვახშამი. სხვათაშორის ვახშმად რჩებიან თ. დ. ჯ.-ს ქალები და ვაჟები და აშლევინებენ სუფრას ცალკე სტოლზე. ამ დროს, როდესაც ერთი ამ სახლობის წევრთაგანი თ. ი. ჭ. ბუფეტშია რაღაცისათვის, მობძანდება თ. დ. ჯ. და დაიჭერს მისს სკამს. შემოდის ი. ჭ. და რომ ჰხედავს თავის ადგილს დაჭერილს დაუპატიჟებელის სტუმრებისგან, ძრიელ ირევა, მაგრამ მაინც ითმენს და არას ეუბნება; მიდის საზოგადო სტოლზე და ვახშმობს. შემდეგ ღვინით შექეიფიანებული, თუ სხვა მიზეზით, მოდის და იდგამს სკამს დ. ჯ.-ის მახლობლად. ამასთანავე კილოკავად და გაკვრით აყვედრის, რომ ამ ნაირი ქცევა ზოგიერთა პირთა უზრდელობად უნდა ჩაითვალოს, სხვა რომ არა იყოსო; მაგრამ მეორე მაინც არასფერს პასუხს აძლევს და არც-კი ჰგრძნობს, რომ ის თავის ნების-სტუმარია და დროა ახლა მიბძანდეს. ამ ამ მიზეზით თ. ი. ჭ. ენთება ცეცხლივით, მივარდება და სკამიანად ყირამალა ატრიალებს... შემდეგ მისცვივიან სხვები და აშველებენ...

ამის შემდეგ ფარდა დაეშვება.

წასრულს კვირას ეს გახლდა წარმოდგენილი ჩვენს კლუბში და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ შემდეგ კვირეებში უფრო გააუმჯობესებენ. წარმოდგენაში თითქმის ყოველისფერი კარგად იყო მოკაზმული, მხოლოდ ერთი რამ განსაკუთრებითი ღირსება თუ ნაკლულევანება ჰქონდა, რომლისთანა ჯერ არსად შემხვედრია;— ის, რომ აქ სადავიდარაბოდ და სახათაბალოდ იწვევს დროული კაცი ბ. დ. ჯ. ახალ-გაზრდას ი. ჭ., როდესაც უკუღმა უნდა ყოფილიყო...

მეოთხეც და უკანასკნელი საყურადღებო ამბავი (თუმცა კი ყურადღებას არავინ აქცევს), გახლავთ ცხენების ბადლად ქალიების ქურდობა. თურმე ცხენების ოსტატებს შეუტყვიათ, რომ ქალაქში ქალები უფრო ძვირად იყიდება და დაიმალება კიდეცა, ვინემ ცხენებიო და ამისათვისაც ამ ხელობისათვის მიუყვიათ ხელი. ერთი იმ დღესაც სივის ყელში მიმგზავრებული დაიჭირეს და დააბრუნეს.

ამბობენ ამ ქალების ქურდებს კანონი არას ეუბნებაო. „თუ არ უნდა ნუ გაჰყვებაო; ცხენი ხომ არ არის, რომ მოიპარონო!" ეგ ძალიან კარგი, მაგრამ, თუ თვითონ მისდევენ, მაშ წამყვანი ქურდულად რად იქცევა? რით იცით, რომ ძალით და მოტყუებით არ ასეირნებენ თფილისისაკენ? განა ამ ნაირი ძალ-დატანებითი წაყვანა და გაყიდვა არ მომხდარა?

ჭონ.

ბიდგან, რომ ბ-ნი ავტორი ხსენებულის კორრესპონდენციისა ლ. ლ. არის ჩემზედ ალქურვილი უმართლო ცილის-წამებით, რომ ის შეპცდარია მექორეთ ნაამბობასაგან.

ლაილაშის ბლაღოჩინი ი. გერსამია.
20 ნოემბერს 1881 წ.

(დასასრული)

# განცხადებანი

## თფილისის სახელოსნო

## უპრავისაგან

თფილისის სახელოსნო უპრავა (გამგეობა), სახელოსნო წესდების 1863 წ. გაგრძ. 140 მუხლის ძალით პრობის პალატისა, ამით უცხადებს ყველა ხელოსნებს: ოქრომჭედლებს იუველირებს, აბრეშუმის მწარმოებლებს, მესაათეებს და ყველა იმ ვაჭრებს, რომელნიც ქ. თფილისში ოქრო-ვერცხლით ვაჭრობენ, მოუჩქარონ მოწმობისა და ბილეთების აღება ამ ოქრო-ვერცხლის ნივთების წარმოების უფლებისა ამ 1882 წლის 1 იანვრისათვის.

იმ ხელოსნებსა და ვაჭრებს, რომელნიც სახელოსნო უპრავიდამ არ აიღებენ ზემოხსენებულ მოწმობასა და ბილეთებს, ერთი-ორად გადახდებათ. (3—1)

ინგლისის მაღაზიაში

თმის ამომყვანი



მაქ-მას-ტიკი

ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.

აქვე ისყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სჩოტკები თავის ტკავილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ (100—66)

ვიღებ გასაკეთებლათ კანკელსა, სტალიარისა, ჩუქურთმისა, და ვ-რაყის საქმეებს. ვაკეთებ აგრეთვე სურათისათვის რამკებსა და ესხამ შუშებსა. აგრეთვე სურათებს ვფერავ ლაქით, რომ გაბრწყინდეს მშვენიერათ. საზოგადოებას ყოველთვის შეეძლება, რომ ზემო-აღნიშნული საქმეები სუფთათა გაკეთებული მიიღონ და რაც შეიძლება იაფად.

ფაბრიკა ჩვენი იმყოფება საპიორის ქუჩაზე, მელიქოვის სახლის უკან, მაღაზია. № 8

დავით გიგაური.

(3—2)

მცოდნე ბუღალტერიისა ეძებს ადგილს მარტო საღამოობით, 4 საათიდამ. ადრესი: ამაღლების ქუჩა, ჯანყულოვის სახლი, როტინოვის სადგომში, № 6. (3—3)

ჩაის მცოდნე, პირმა და მსურველმა უნდა იყიდოს ჩაი, პირველი მოკრეფილისა ინგლისის მაღაზიაში 1 მან. 20 კაპ. და 2 მან. და შეადაროს ჩაის 1 60 კაპ. და 3 მან. ყველგან, ქ. თბილისში და გაიგებთ რამდენათ უკეთესი ჩაია ინგლისის მაღაზიაში. ამის გარდა მაღაზია აძლევს ჩაის წმინდა წონით უქაღალდოთ და უტყვიოთ. (100—90)

ლონდონის მაღაზია კომერციულს ბანკის ქვეშ დაარსებულია ნამდვილი ჩაიგასასყიდლათ პირველი მოკრეფილისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მაგალითებრ: თოფებისა, რევოლვერებისა, კლიტეებისა, ჭურჭლებისა, კრავატებისა, დანებისა, კოვზებისა, ჩაინიკებისა, შოკოლადისა, კაკაოსი, დუხებისა, საპონისა, შრო კებისა, ცხვირ-სახოცისა, ქაღალდისა, კარანდაშებისა, კალმებისა, უნაგრებისა, სუკრისისა (გემრიელი კლუბრივინი ზეთისა) და სხვ. საგენტო მაკინტოშის მოსასხამებს გასასყიდლად კანფეტების და ბატჯერის და კამპ. მურაბისა, აგრეთვე ჩულქებისა და წინდებისა ნოტინგამიდამ. ნამდვილი ჭვანის გიარები. (100—41)

# ისყიდება

15,000 თეფში 1 ხარისხისა, თითო 15 კაპ.

12,000 ბროლის სტაქანი თითო 25 კაპ.

10,000 ბაკალი და სტაქანი თითო 10 კაპ.

10,000 ფოდნოსი და გასალები თითო 15 კაპ.

10,000 ნევსი, 8 კ. 40-მდინ ასი.

10,000 შუშის თავის პრიბორით თითო 5 კაპ.

5,000 ბოთლი პორტვეინისა და ხერესის თითო 1 მან.

2,000 არშინი კლიონკა 60 კაპ. 2 მან. არშინი.

2,000 დიუჟინი ყარანდაში და ყალმის ხელი 8 კ. 50 კაპ. დიუჟ.

2,000 გირვანქა ინდოეთის ბრინჯი 7, 8, 10 კაპ. გირვ.

1,000 გირვ. თვალთ-მაქცი ლეპიოშკა 50 კაპ. გირვ.

600 ინგლისის რევოლვერი 4 მან. 34-მდი.

300 ინგლისის თოფი თითო 20—100 მან.

დრაპი, მაუდი, ტრიკო, ალბომები, საზამთრო პალტოები, ქუდები, შარვლები და ტანისამოსი ნახევარ ფასად. ინგლისის მაღაზიაში. (40—6)

ახალი დუქნები და დიდი სარდაფი ღვინის სავაჭროდ ქირავდება შუა ბაზრის კუთხეში, პრიკაზის ქუჩაზე, რომელიც ჩადის მკზარხის მეიდანზე. № 4. ფასი შეიტყობა, სოლოლაკზედ ბალის ქუჩაზე, № 56. (3—2)

ი. მურადოვის

წიგნის მაღაზიაში

# ქუთაისში

მუდამ არის დამზადებული საკმაოდ ყოველ გვარი სასწავლო წიგნები, რომელნიც კი მოეთხოვებად სავაჟო და საქალებო გიმნაზიებში, სახალხო და სამოქალაქო სკოლებში მოსწავლეთა. არის აგრეთვე დიდ-ძალი სამოსწავლო და სკოლაში სახმარო ნივთები და მოთხოვნილებისა დაგვარად დახაზული რვეულები, ასი— 5 მანეთი., მუზიკალური ნოტები, სხვა და სხვა საწერი ნივთები და მასალეები უფრო იაფ ფასად, ვიდრე სხვაგან.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა მოთხოვნილებას მაღაზია დაუყოვნებლივ აასრულებს და გამოგზავნის პირველივე წამომავალი ფოშტით. (50—24)

# ისყიდება

25% ნაკლებ მინამ სხვა ადაგას ჩაი, კაკაო, შეკოლადი, ბისკვიტი, მურაბა, ბრინჯი, ჭურჭლები, სტაქნები, ბაკლები, თეფშები, ჩაინიკები, სუდოკები, ფოდნოსები, პირის-საბანი, კლიტეები, სამურველი, ტანისამოსის საკიდი, კოვზები, დანები, კალმები, ქაღალდი, კანვერტები, რვეულები, კარანდაშები, თოფები, რევოლვერები, კრავები, პლაშჩები, ვასები, ქამრები, საყელურები, კლიონკა, უნაგირები, ლაგმები, უთოები, ტასტები, პირისახოცი, ცხვირის-სახოცი, ჩულქები, ტუალეტის საპონი, დუხები, შარბათი, ციტმატმაგნეზია, ქინას ღვინო, პორტ-ვეინი, ხერესი, კონიაკი და ათასი სხვ. რამეები,—ინგლისის მაღაზიაში. იქვე ჩაი ვაჭართათვის ნარდათ: ფუთობით 40, 46, 52 და 58 მან. და გირვანქობით: 1 მ., 1 მ. 10 კ., 1 მ. 20 კ., 1 მ. 40 კ., 1 მ. 60 კ., 1 მ. 80., და უპირველი ხარისხისა 2 მ.—წონა უქაღალდოთ.

თოფები 20—60 მან., ჩოკ-ბორ (*choke bore*) *Ceorge Dau*-ს ფაბრიკიდამ—120 მან. რევოლვერები 4—34 მან. და ბულდოგისა 11—20 მ. ქალის უნაგირები 65 მან-დამ.; შეფილდის დანები ჩანგლებით 3 მან. 50 კაპ-დამ დუჟ., ალბომები ნახევარ ფასად, ფილტრები და სხვ.

ყველაზედ უმრავლესი ამორჩევა თოფებისა და რევოლვერებისა თფილისში. (100—41)

ინგლისის მაღაზიაში
არწრუნის გალლერეაში
(*Maison de confiance*)

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | ჩაის ყველგან |
|---|---|
| — — 1 მ. 10 კაპ. | — 1 მ. 40 კაპ. |
| — — 1 „ 20 „ | — 1 „ 60 კაპ. |
| — — 1 „ 40 „ | — 1 „ 90 კაპ. |
| — — 1 „ 60 „ | — 2 „ 20 კაპ. |
| — — 1 „ 80 „ | — 2 „ 50 კაპ. |
| საუკეთესო 2 მანეთ. | — 3 მანეთ. |

ჩაის წონა—უქაღალდოა, სხვაგან კი ქაღალდით. (100—65)

ОТКРЫТА ПОДПИСКА
на 1882 годъ
на большую ежедневную, политическую, общественную и литературную газету
„РУССКІЙ КУРЬЕРЪ“.

ГОДЪ ТРЕТІЙ

УСЛОВІЯ ПОДПИСКИ:

Съ доставкою въ Москвѣ:

| | | | |
|---|---|---|---|
| На 12 мѣс. | 8 р. 50 к. | На 6 мѣс. | 4 р. 50 к. |
| „ 11 „ | 8 „ — „ | „ 5 „ | 3 „ 90 „ |
| „ 10 „ | 7 „ 50 „ | „ 4 „ | 3 „ 25 „ |
| „ 9 „ | 6 „ 75 „ | „ 3 „ | 2 „ 50 „ |
| „ 8 „ | 6 „ — „ | „ 2 „ | 1 „ 90 „ |
| „ 7 „ | 5 „ 25 „ | „ 1 „ | 1 „ — „ |

Съ пересылкою въ города:

| | | | |
|---|---|---|---|
| На 12 мѣс. | 9 р. — к. | На 6 мѣс. | 5 р. — к. |
| „ 11 „ | 8 „ 50 „ | „ 5 „ | 4 „ 60 „ |
| „ 10 „ | 8 „ — „ | „ 4 „ | 3 „ 70 „ |
| „ 9 „ | 7 „ 40 „ | „ 3 „ | 2 „ 75 „ |
| „ 8 „ | 6 „ 70 „ | „ 2 „ | 2 „ — „ |
| „ 7 „ | 5 „ 90 „ | „ 1 „ | 1 „ 10 „ |

За границу: на 12 м. 17 р.,
„ 6 „ 9 р.,
„ 3 „ 5 р.,
„ 1 „ 2 р.

Подписка принимается въ конторѣ изданія: Москва, Москворѣцкій мостъ, д. Н. П. Ланина, въ отдѣленіи конторы—близъ Петровки, Столешниковъ пер., д. Карзинкина, въ извѣстныхъ книжныхъ магазинахъ Москвы и С.-Петербурга и Парижѣ—Rue Clément, 4, Adam.

Гг. иногородние благоволятъ адресоваться преимущественно въ контору изданія „РУССКІЙ КУРЬЕРЪ“.

*Редакторъ-издатель*
(3—1) *Н. П. Ланинъ.*

ინგლისის მაღაზიაში ახლად მიღებულია დიდ ძალი ჩაი პირველი მოკრეფისა 30% უკეთესი, ვიდრე სხვაგან. იქვე იყიდება: პაპიროსი 40 კაპ. დაწყებული; სტაქნები, ბაკლები 10 კაპ—დამ; პადნოსები 5 კ.—დამ, მურაბა და ალბომები ნახევარ ფასად და სხვ. (100—41)

## ტაქსია

საჭმელ სურსათისა ხორაგეულებათა, რომელნიც იყიდებიან თფილისის ბაზრებში, დუქნებში და დახლებით 1 დეკემბრიდამ 1 იანვრამდის.

გამომცხვარი პური: ხორბლის ფქვილის:

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 5 კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | $3^1/_2$ |
| მესამის „ | —1 გირ. | 3 კ. |

იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი:

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 5 კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | 4 კ. |

ჭვავის-მამის პური:

| | | |
|---|---|---|
| პირველ ხარის. ლავაში | 1 გირ. | $6^1/_2$ |
| მეორის „ „ | —1 გირ. | 5 კ. |
| მესამის „ „ | —1 გირ. | $4^1/_2$ |

ძროხის ხორცი:

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 10 კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | 8 კ. |
| სუკი — — | —1 გირ. | 15 კ. |
| ცხვრის ხორცი | - 1 გირ. | 10 კ. |

ღორის ხორცი:

| | | |
|---|---|---|
| პირველი ხარისხის | —1 გირ. | 12 კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | 11 კ. |

Дозволено цензурою. Тифлисъ, 4 Декабря 1881 г. Типографія С. Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები: ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი